4328/3-2/21 2 14052021

4328/3-2/21
14-05-2021

საქართველოს ფინანსთა
მინისტრს

ბატონ ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ინტერპელაციის 149-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრთა შვიდკაციანი ჯგუფის სახელით გიგზავნით შემდეგ კითხვებს:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს, რაც მაღალი რეფინანსირების განაკვეთში ვლინდება (9.5%). ეროვნული ბანკის მცდელობას შეინარჩუნოს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ზე პანდემიით დაზარალებული ბიზნესის და ფიზიკური პირების ინტერესები ეწირება, რადგან მათ ბიზნესსესხები უძვირდებათ. რას აკეთებს საქართველოს მთავრობა იმისათვის, რომ მკაცრი მონეტარული პოლიტიკა ფისკალური ინსტრუმენტებით დააბალანსოს?
2. 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადი გადავიდა ე.წ. ესტონურ მოდელზე, დაახლოებით 400 მლნ ლარის დეფიციტის დასაკომპენსირებლად ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება და გაზარდა აქციზის განაკვეთი საწვავზე, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე, ასევე ავტომობილების იმპორტზე. აღნიშნულის შედეგად მომატებული ფასით გაზრდილი ხარჯი მთლიანად დააწვა ჩვენს მოქალაქეებს. ხომ არ დადგა დრო, 2017 წლის 1 იანვრიდან შესული ცვლილებები აქციზის განაკვეთის გაზრდასთან დაკავშირებით გაუქმდეს და ყველაზე ცოტა, დაუბრუნდეს ძველ ნიშნულებს, ხოლო შემცირებული განაკვეთები შევიდეს ძალაში 2022 წლის 1 იანვრიდან?

3. ქვეყანაში ვალუტის შემოსვლის რამდენიმე წყარო არსებობს. ერთ-ერთი ძირითადი მათ შორის იყო ტურიზმის ინდუსტრია, რომელსაც ქართული ეკონომიკისათვის ყოველწლიურად საშუალოდ 3.2 მლრ. აშშ დოლარი შემოჰქონდა. პანდემიამ ეს დარგი მნიშვნელოვნად დააზარალა (80%-ით შემცირდა). როგორ აპირებთ ტურიზმის სექტორის და ადგილობრივი წარმოების სტიმულირებას, რომ ვალუტის დეფიციტი შევამციროთ, რათა ლარის კურსზე ნაკლები ზეწოლა გვქონდეს?

4. მთავრობამ ბოლო ერთი წლის მანძილზე (03.2020-03.2021) აიღო 2.137 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალი. გთხოვთ გვიპასუხოთ როდემდე აპირებთ ხარჯების ვალებით გასტუმრება? რატომ არ ამცირებთ მთავრობის ხარჯებს? გთხოვთ

წარმოგვიდგინოთ ანგარიში რა მიზნობრიობით დაიხარჯა აღნიშნული თანხები? რა ღონისძიებები განხორციელდა აღნიშნული სახსრებით პანდემიის აღმოფხვრის საჭიროებებისთვის, განხორციელდა თუ არა ბიუჯეტის დეფიციტის შევსება და ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ხარჯების დაფინანსება?

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია



პარლამენტის წევრი
გიორგი ვაშაძე



პარლამენტის წევრი
პაატა მანჯგალაძე



პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე



პარლამენტის წევრი
გრიგოლ ვაშაძე



პარლამენტის წევრი
დავით ბაქრაძე



პარლამენტის წევრი
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე